სექტორის მიმოხილვა

ზოგადი ტენდენციები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) 2025 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი 808.1 მლნ. ლარს შეადგენს (2024 წელს გამოყოფილ თანხასთან შედარებით 120.1 მლნ. ლარით მეტი). გამოყოფილი ბიუჯეტი ძირითადად განაწილდა შემდეგ სფეროებზე:

- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა – 25.9 მლნ. ლარი;
- სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა – 72.34 მლნ. ლარი;
- მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება – 81.18 მლნ ლარი;
- ერთიანი აგროპროექტი – 350.87 მლნ ლარი;
- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია – 129.1 მლნ ლარი;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობა – 30.0 მლნ ლარი;
- დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა – 27.74 მლნ ლარი;
- გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი – 33.6 მლნ ლარი.

ტრადიციულად, MEPA-ს დაფინანსების უდიდესი წილი მიმართულია სოფლის განვითარების სააგენტოზე (RDA), საქართველოს მელიორაციასა (GA) და ღვინის ეროვნულ სააგენტოზე (NWA), შესაბამისად 43%, 16% და 10%-იანი წილებით.

ერთიანი აგროპროექტის ბიუჯეტი, რომელსაც RDA ახორციელებს, ნაწილდება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროექტზე, კერძოდ: აგროპროექტების მართვა – 14.7 მლნ. ლარი; შეღავათიანი აგროკრედიტები – 210.0 მლნ. ლარი; აგროდაზღვევა – 15.0 მლნ. ლარი; პროექტი „დანერგე მომავალი" – 26.0 მლნ. ლარი; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი – 13.0 მლნ. ლარი; აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა – 18.1 მლნ. ლარი; სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსება – 10.0 მლნ. ლარი; და თხილის წარმოების ხელშეწყობა – 23.0 მლნ. ლარი.

2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმილ ვერსიასთან შედარებით, სამინისტროს განაწილებაში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების დაფინანსება 27.4 მლნ. ლარით გაიზარდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2025 წლის ბიუჯეტის ძირითადი კატეგორიები (დაგეგმილი, მლნ. ლარი)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო, 2025

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები

თვიურ ჭრილში, 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის თებერვლამდე ქვეყანაში ფასების დონე გაიზარდა. 2025 წლის იანვარსა და თებერვალში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) უმნიშვნელოდ (0.4%-ით) გაიზარდა თვიურ ჭრილში. ხოლო 2024 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით ფასების ზრდამ 0.7% შეადგინა.

2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის თებერვლამდე, სურსათის ფასების ინდექსის (FPI) მიხედვით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. თვიურ ჭრილში, დეკემბერსა და იანვარში, შესაბამის წინა თვეებთან შედარებით ფასები გაიზარდა 1.3%-ით და 1.1%-ით, ხოლო 2025 წლის თებერვალში, 0.7%-ით.





წყარო: საქსტატი, 2025. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო.

წლიურ ჭრილში, CPI მცირედით გაიზარდა 2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის თებერვლამდე. გასული წლის დეკემბერში, 2023 წლის დეკემბერთან შედარებით, CPI 1.9%-ით გაიზარდა; შესაბამისი წლიური ცვლილება 2025 წლის იანვარში 2.0% იყო, ხოლო თებერვალში – 2.4%.

2025 წლის თებერვალში, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში FPI-ის წლიური ფასები 3.7%-ით გაიზარდა, რამაც 1.25 პროცენტული პუნქტით გაზარდა მთლიანი CPI. ძირითადი გამომწვევი ფაქტორი იყო ფასების ზრდა შემდეგი პროდუქტების ქვეჯგუფებში:



ზეთი და ცხიმი (15.4%↗)

ყავა, ჩაი დ კაკაო (11.1%↗)

ბოსტნეული (9.7%↗)

წყარო: საქსტატი, 2025

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე

საერთო ჯამში, წლიურ ჭრილში, 2024 წლის ნოემბრიდან სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ფასები საქართველოში მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს. 2024 წლის დეკემბერში, საკვების ფასის წლიური ცვლილება 3.6% იყო; 3.0% იანვარში და საბოლოოდ 3.7% თებერვალში. 2025 წლის თებერვალში, ფასები ყველაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგ კატეგორიებში:

ზეთი და ცხიმი – ფასები გაიზარდა ამ ქვეკატეგორიაში შემავალ ყველა პროდუქტზე. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა მზესუმზირის ზეთზე (19.8%), შემდეგ მარგარინზე (10.6%), კარაქსა და სპრედზე (9.1%) და მაიონეზზე (6.0%).

ბოსტნეული – ამ კატეგორიაში, ფასის ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა კომბოსტოზე (73.1%), მწვანილზე (45.8%), ნიორზე (23.5%) და ბადრიჯანზე (21.2%). კომბოსტოს ფასის ასეთი მკვეთრი ზრდა შესაძლოა გამოწვეული იყოს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით: ადგილობრივი წარმოების მოცულობის შემცირებით და საქართველოში იმპორტის ზრდით. 2025 წლის თებერვალში, კომბოსტოს იმპორტი 51%-ით გაიზარდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით.

ყავა, ჩაი და კაკაო – ამ კატეგორიაში შემავალი თითოეული პროდუქტი გაძვირდა. ყველაზე დიდი ფასების ზრდა 2025 წლის თებერვალში დაფიქსირდა კაკაოზე (15.4%), შემდეგ დაფქულ ყავაზე (12.7%) და ხსნად ყავაზე (11.1%). უმნიშვნელო ფასების ზრდა დაფიქსირდა ჩაის ფოთლებსა (3.6%) და ჩაის პაკეტებზეც (3.4%).



წყარო: საქსტატი, 2025

საერთაშორისო ფასები

2024 წლის დეკემბრიდან 2025 წლის თებერვლამდე, საერთაშორისო ფასებმა წლიურ ჭრილში ზრდის ტენდენცია აჩვენა. 2025 წლის თებერვალში სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მნიშვნელოვნად, 8.2%-ით, გაიზარდა 2024 წლის თებერვალთან შედარებით. ფასების ყველაზე მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა მცენარეული ზეთის (29.1%) ქვეინდექსში. ამგვარი ზრდა განპირობებული იყო პალმის, რაფსის, სოიოს და მზესუმზირის ზეთების ფასების ზრდით. 2025 წლის თებერვალში, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა რძის პროდუქტებისა (23.2%-ით) და ხორცის (4.8%) ფასებიც. რძის პროდუქტების ფასების ზრდა გამოწვეული იყო ყველა ძირითადი რძის პროდუქტის ფასების ზრდით. აღსანიშნავია, რომ შაქრისა (-15.8%) და მარცვლეულის ფასები (-1.1%), პირიქით, შემცირდა.



წყარო: FAO, 2025

საერთაშორისო ვაჭრობა

2025 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდი საქართველოს მთლიანმა ექსპორტმა დაიწყო ზომიერი ზრდით (4.0%) 2024 წლის იმავე პერიოდთან შედარებით (803 მლნ-დან 835 მლნ. აშშ დოლარამდე). აგრო ექსპორტმა წვლილი შეიტანა ამ საერთო ზრდაში და გაიზარდა იმავე პროპორციით, როგორც მთლიანი ექსპორტი (3.2%-ით - 2024 წელს 217 მლნ. აშშ დოლარიდან 2025 წელს 224 მლნ. დოლარამდე). თუმცა, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში უმნიშვნელოდ შემცირდა, 2024 წელს 27.1%-დან 2025 წელს 26.8%-მდე.

ექსპორტთან შედარებით, საქართველოს მთლიანი იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა (19.6%-ით) 2024 წელს 2,284 მლნ. აშშ დოლარიდან 2025 წელს 2,732 მლნ. აშშ დოლარამდე. აგრო იმპორტის ცვლილება შეადგენს 6.6%-ს, 2024 წელს 290 მლნ აშშ დოლარიდან 2025 წელს 309 მლნ-მდე. ამავდროულად, აგრარული იმპორტის წილი მთლიან იმპორტში მცირედით შემცირდა, 2024 წელს 12.7%-დან 2025 წელს 11.3%-მდე.





წყარო: საქსტატი, 2025
შენიშვნა: სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი და იმპორტი მოიცავს სურსათს

აგრო ექსპორტში 5 წამყვანი პროდუქტის მიხედვით, **დენატურირებული ეთილის სპირტი, სპირტიანი სასმელები, ლიქიორები და სხვა ალკოჰოლური სასმელები** უჩვეულოდ პირველ ადგილზეა 29.4 მლნ. აშშ დოლარით 2025 წლის იანვარ-თებერვალში, და აგრარული ექსპორტის 13.2%-ს შეადგენს. ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი არის ღვინის ექსპორტის შემცირება 38%-ით წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

მეორე უმაღლესი ღირებულების საექსპორტო კატეგორია ამ პერიოდისთვის იყო **ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინოები**, რომელიც 29.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინოების ღირებულება მთლიანი აგრარული ექსპორტის 13.1%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ორივე უმსხვილესი აგრარული საექსპორტო საქონელი, ალკოჰოლური სასმელები და ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინოები შემცირდა, შესაბამისად 16.3% და 38.3%-ით, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

წყლის, ნატურალური ან ხელოვნური მინერალური და გაზიანი უშაქრო სასმელების ექსპორტი შეადგენდა 25.4 მლნ. აშშ დოლარს მთლიან ღირებულებაში (16.8%-იანი ზრდა), 11.4%-იანი წილით 2025 წლის იანვარ-თებერვლის აგრო ექსპორტში.

შაქრის შემცველი წყლების, მინერალური და გაზიანი წყლების ექსპორტი შეადგენდა 18.2 მლნ. აშშ დოლარს 2025 წლის იანვარ-თებერვალში, რაც 28.9%-ით მეტია 2024 წლის იმავე პერიოდის 14.1 მლნ. აშშ დოლართან შედარებით, თითქმის 8.1%-იანი წილით 2025 წლის იანვარ-თებერვლის აგრო ექსპორტში.

თხილი და სხვა კაკალი მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით (45.1% - 2024 წლის იანვარ-თებერვალში 12.8 მლნ აშშ დოლარიდან 2025 წლის იანვარ-თებერვალში 18.6 მლნ. დოლარამდე) მთლიანი აგრარული ექსპორტის 8.3%-იანი წილით.



წყარო: საქსტატი, 2025
შენიშვნა: ექსპორტირებული და იმპორტირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტები მოიცავს სურსათს

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკა

ავტორები: ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
გიორგი შავრეშიანი: giorgi.shavreshiani@iset.ge